

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
სასწავლო მოდული “პოლიტიკი სანალიზი & პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა”

ნიკოლოზ ნიკოლაძე

საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებისთვის აქტიური საარჩევნო
უფლების ხელმისაწვდომობის ზრდა
(საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი)

სარჩევი

რეზიუმე.....	3
შესავალი	4
პრობლემის_აღწერა	7
პრობლემის_გადაჭრის_გზები.....	12
რეკომენდაციები.....	16
დასკვნა.....	18

რეზიუმე

დამოუკიდებლობიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფო საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებების დაცვისა და მათთვის ინსტიტუციური შეთავაზების გამოწვევის წინაშე დგას, რაც უპირველეს ყოვლისა დემოკრატიის გავრცელებას მოითხოვს. 2001 წელს მიღებულმა საქართველოს საარჩევნო კოდექსმა დაადგინა, რომ პირის საცხოვრებელი ადგილი, არ შეიძლება იყოს ხმის მიცემის შემზღვეველი ფაქტორი.

მიუხედავად ათწლეულების გასვლისა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზების მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემებია, რასაც ემიგრანტების პოლიტიკური პროცესებისადმი ინტერესის დაკარგვას ცალსახად ვერ დავუკავშირებთ. კენჭის ყრის რიგი მაჩვენებელი დემოკრატიული საზოგადოების განვითარების სიცოცხლისუნარიანობის მანიშნებელიცაა. იკვეთება საბაზისო პრობლემები, რომლის საპასუხოდ ვერ ვხედავთ საარჩევნო სისტემის ევოლუციას.

წინამდებარე დოკუმენტი სწორედ საზღვარგარეთ აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზაციის ხელშეწყობაზეა ფოკუსირებული. მასში განხილულია ხმის მიცემის ხელმისაწვდომობის გაზრდის რამდენიმე გზა. შეფასებისას გამოყენებულია კრიტერიუმები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სარგებლიანობასთან. კვლევის ფარგლებში მიზნად დავისახეთ საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩეველთა მაქსიმალური რეგისტრაცია, როგორც გამოწვევებზე აუცილებელი რეაგირების წინაპირობა.

ყველაზე ხელსაყრელ პირველ ალტერნატივასთან მიმართებით შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის შესრულება ხელს შეუწყობს თანასწორობის პრინციპის ფართოდ გავრცელებას.

შესავალი

მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების მიერ ხმის მიცემა აღიარებულია, როგორც ფუნდამენტური უფლება, რომელიც ამლევს მოქალაქეებს საშუალებას გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულის თაობაზე ჩანაწერი გვხვდება გაეროს ასამბლეის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლში, რომელიც მისი ყველა წევრისათვის სავალდებულოა.

საქართველოს უზენაესი კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი საარჩევნო უფლებასადამის ძირითად პრინციპებს განამტკიცებს. კონსტიტუციით მოცემული საყოველთაობის პრინციპი საარჩევნო უფლების თანასწორად უზრუნველყოფას გულისხმობს. აღნიშნული ნორმის შეზღუდვა მხოლოდ მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლებით არის შესაძლებელი¹. ამ მხრივ საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დარღვევის, მათ შორის ხმის მიცემის უფლებასთან დაკავშირებით.

დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე მიმდინარე მოვლენების შედეგად ქვეყნის ფარგლებს გარეთ მილიონზე მეტი თანამოქალაქე აღმოჩნდა, რომელთაგან სახლების არეალი არაერთ შორეულ სახელმწიფოსაც მოიცავს. სავარაუდოა, რომ ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში უკეთესი ცხოვრების პირობების მიების, თვითრეალიზაციის, განათლების მიღების თუ პროფესიული ვალდებულებების შესრულების მიზნით მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის ცვლილება კიდევ უფრო დინამიური გახდეს². მოცემულ პირობებში და მითუმეტეს ევროატლანტიკური მისწრაფებების გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფოსათვის დიდ გამოწვევად იქცევა ემიგრანტებისათვის სახელმწიფოებრივ საკითხთა გადაწყვეტის პროცესში სათანადო ჩართულობის უზრუნველყოფა, მითუფრო თუ გავითვალისწინებთ მათ წვლილს ქვეყნის ეკონომიკაში (იხ. დიაგრამა N1). 2019 წელს

¹ კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი აწესებს ასაკობრივ შეზღუდვას და მხოლოდ 18 წლის ასაკიდან უშვებს მოქალაქის აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობას;

² 2017-2019 წლებში საქართველოს მოქალაქის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრების 91 ათასით მეტი ფაქტი დაფიქსირდა, ვიდრე სამშობლოში დაბრუნება.

განხორციელებულ ფულადი გზავნილები (1733 მლნ. \$), რომელიც 446 მილიონით აჭარბებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (იხ. გრაფიკი N1). ქვეყნის პოლიტიკურ მომავალში ჩართულობის სურვილს ამძაფრებს ემიგრანტთა სოციალურ/ეკონომიკური პრობლემები, რასაც ემატება სახელმწიფოს მიერ გადაუჭრელი მოთხოვნები³. ცვლილებებისათვის ფუნდამენტალურ მექანიზმს, სწორედ საარჩევნო უფლების სათანადო რეალიზების შეთავაზება უნდა წარმოადგენდეს.

მსგავსად მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნებისა, საქართველოში საარჩევნო უფლების რეგულირება ხდება სპეციალური აქტებით⁴ (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, რეფერენდუმის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი და სხვ.). საქართველოს სახელმწიფო, როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ საკუთარ მოქალაქეებს აძლევს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას⁵. თუ მივიღებთ მხედველობაში 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ტურებს შორის უცხოეთში ხმის მიცემის მზარდ სხვაობას, დაბალი აქტივობა ამომრჩეველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნაკლებად გაზიარებით არ უნდა იყოს განპირობებული. საზღვარგარეთ საარჩევნო პროცედურის განხორციელება რიტუალურ ხასიათს ატარებს (იხ. ცხრილი N3). ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობის ¼-სთვის აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელების პრინციპი დისკრიმინაციულია⁶, რომლის დროსაც გვხვდება პოლიტიკური ინსტრუმენტებით საარჩევნო უფლების შეზღუდვის შემთხვევები⁷. მოცემული გამოწვევის საპასუხოდ წლების განმავლობაში ვერ ვხედავთ ხმის მიცემის ორგანიზაციული მიდგომების არათუ მუდმივ ცვლილებას, არამედ არსებითად გადადგმულ ნაბიჯებს, მითუმეტეს,

³ ასე მაგალითად, არ გადაიხედა ბიომეტრული პასპორტის საფასური (2018), საპენსიო რეფორმა არ შეეხო ემიგრანტებს (2019), პანდემიისას ვერ უზრუნველყო სამშობლოში დროულად დაბრუნების მრავალი მოთხოვნა (2020);

⁴ აქტიური საარჩევნო უფლების განსაზღვრა საკონსტიტუციო ნორმებით იშვიათად გვხვდება: პორტუგალია (კონსტიტუციის 172-ემუხლი), ესპანეთი (კონსტიტუციის 68/5 მუხლი);

⁵ 22/08/2001-მდე მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა ("საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" და "საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს კანონები) არ ითვალისწინებდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხმის მიცემის პროცედურას;

⁶ უფლებებსა და თავისუფლებებზე თანასწორი ხელმისაწვდომობისათვის სახელმწიფოს ეკისრება, როგორც ნეგატიური (თანასწორად მოეპყროს თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს) ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყროს არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს);

⁷ საგარეო საქმეთა მინისტრის 11/07/2012 N158 ბრძანების საფუძველად საკონსულო აღრიცხვისათვის საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის მოთხოვნამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა არალეგალ ემიგრანტთა ამომრჩევლად რეგისტრაციის პროცესს.

რომ სახელმწიფოს ამას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიც ავალდებულებს⁸. აღნიშნული ხელისუფლების და მისი ინსტიტუტების ლეგიტიმურობას საეჭვოს ხდის.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის კვლევის მიზანია:

ა) იმ პრობლემის წარმოჩენა, რომლის გამოც ქვეყნის ფარგლებს გარეთ საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობა სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი;

ბ) პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების მოძიება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

არსებული პრობლემის პრაქტიკაში გადაჭრა შესაძლებლობას მოგვცემს მომავალში უკეთესად უზრუნველყოთ საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობა.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულ იქნა მეცნიერული კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა სტატისტიკური დაკვირვება, დაჯგუფება და შედარებითი ანალიზი. ასევე, განხორციელდა არსებული ლიტერატურის, სამართლებრივი ჩარჩოს და სტრატეგიული დოკუმენტების მიმოხილვა და სახელმწიფოთა საუკეთესო გამოცდილების ანალიზი.

⁸სამოქალაქოდაპოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მისი მონაწილეთი თოეულის სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ანს ხვაზომები,

რომლებიც უზრუნველყოფს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებების, მათ შორის პაქტის ემუხლის "ბ" ქვეპუნქტის განხორციელებას.

პრობლემის აღწერა

საზღვარგარეთ_საქართველოს_საარჩევნო_პროცესის_წარმართვაზე_საარჩევნო ადმინისტრაციაა_პასუხისმგებელი. გასათვალისწინებელია_საგარეო_პოლიტიკური უწყების_როლიც⁹. საარჩევნო_კომისიას:

- აწვდის_საკონსულო_აღრიცხვაზე_მყოფ_ამომრჩეველთა_მონაცემებს (ამომრჩეველთა_ერთიანი_სიის_ფორმირებისათვის);
- დროებით_გადასცემს_საზღვარგარეთ_სარგებლობაში_არსებულ_შენობებს (არჩევნების_მომზადებისათვის/ ჩატარებისათვის).

განხორციელებული_უფლებამოსილების მხრივ_წლებია_არასახარბიელო შედეგებია. მონაცემების_გაანალიზებით_იკვეთება, რომ_რეგისტრირებული ამომრჩევლის_არაუმეტეს_1.8% მოდის_უცხოეთში_მყოფებზე. უმეტეს_შემთხვევაში (2/3) უბანზე_აქტივობა_არაუმეტეს_ასია. ხმის_მიცემის_მაჩვენებლით 2012 და 2018 წლები გამოირჩევა. წინა_არჩევნებთან_შედარებით, 2016 წელს_საარჩევნო_უფლებით 40%-ით ნაკლებმა მოქალაქემ ისარგებლა (მიუხედავად რეგისტრირებული ამომრჩევლის თანაბარი ოდენობისა). არ არსებობს უბნების_შექმნის_მოქნილი_მექანიზმი. დაურეგულირებელია_მისი_საზღვრების_დაზუსტების_საკითხი. 2013 და 2018 წლებისათვის_ამომრჩეველთა 15-15 ათასიან_მატება_უშედეგოა (არჩევნებში მონაწილეობის თვალსაზრისით? დასაზუსტებელია), ხოლო_რეგისტრირებულთა 1500-იან_ზრდას_2016 წლისათვის_დამატებით_ექვსი_უბნის_შექმნა_მოჰყვა. საბერძნეთში_ექვსი_უბანი_ორ_მისამართზე_იხსნება. მიუხედავად იმისა, რომ ნიუ იორკში ფუნქციონირებს, როგორც საქართველოს მისია გაეროში და საკონსულო დაწესებულება, ორი უბანი ერთი კენჭისყრის შენობაში თავსდება. 2020 წლამდე საარჩევნო უბანი არ გახსნილა არც განჯაში საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში. საფრანგეთში (საქართველოს_ექვსჯერ_აღმეტება) მხოლოდ_ერთი უბანი_გვხვდება. უბნის_საზღვრები_დიპლომატიური_წარმომადგენლობის/ საკონსულო_დაწესებულების_ადგილსამყოფელი ქვეყნით/ სამოქმედო არეალით

⁹საგარეო საქმეთა სამინისტროს/ მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებში არ გვხვდება საარჩევნო პროცესთან მიმართებით უწყების უფლებამოსილების განმსაზღვრელი ნორმები. რიგ ქვეყნებში (მაგ.: სერბეთი) საგარეო საქმეთა სამინისტროს ენიჭება პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფაზე.

განისაზღვრება. ირღვევა თანასწორობის პრინციპი. კენჭის ყრის მიღმა რჩებიან იმ ქვეყნებში მყოფი მოქალაქეები¹⁰, სადაც რეგისტრირებულთა რაოდენობა არა უმეტეს 20-ია¹¹. რუსეთში მცხოვრებ ნახევარ მილიონზე მეტ ემიგრანტს ხმის მიცემა არ შეუძლიათ უახლოესი საარჩევნო უბნებიდანაც კი¹². სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის უქონლობის მაგალითს გვიჩვენებს იტალიაც (ორმხრივი საკონსულო კონვენციის საფუძველად საკონსულოს კარ-მიდამოს ფარგლებს გარეთ არ იხსნება უბანი). სათვისტომოს წარმომადგენლებში უნდობლობას იწვევს ამომრჩეველთა სიაში არყოფნა¹³ და არჩევნების სამუშაო დღეს დანიშვნა. გარდა მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის მოპოვებისა¹⁴, არალეგალებისთვის სირთულეს წარმოადგენს დაკავების რისკის ქვეშ გადაადგილება. არათუ საარჩევნო პერიოდში დეპორტაციას/ რეადმისიას დაქვემდებარებული პირები, არამედ სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული მოქალაქეებიც ამომრჩეველთა სიების მიღმა რჩებიან.

საყურადღებოა გამოწვევებზე საპასუხო რიგი ქმედებები:

- ✓ საკონსულო აღრიცხვის გამარტივებისათვის, სსგს 2011 წლიდან, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო 2015 წლიდან (დამტკიცდა 23/04/2020-ს) ნერგავს მომსახურების ინტერნეტ მეთოდს. აღრიცხვაზე დადგომა მოქმედი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობის გარეშეცაა შესაძლებელი;
- ✓ საარჩევნო სიების დახვეწისათვის, პერიოდულობით პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები შეღავათებით გაიცემოდა;
- ✓ OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციის საფუძველად რეგისტრაციიდან მოხსნილი პირები დაიშვნენ არჩევნებზე (2018);

¹⁰იაპონიაში, კორეაში, ფინეთსა დასლოვაკეთში საკონსულო აღრიცხვაზე მყოფი პირები 2018 წელს ამომრჩეველთა სიის მიღმა დარჩნენ;

¹¹საზღვარგარეთ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებას ასევე ართულებს დაბალი ანაზღაურება.

¹²საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების მასსომხეთში და აზერბაიჯანში აძლდევენ. ამასთან, საქართველოს საარჩევნო კოდექსით დისლოკაციის ადგილზე 50-ზე ნაკლები სამხედრო მომსახურის ყოფნისას მათი გადაწილება უახლოეს საარჩევნო უბანზე ხდება;

¹³01/05/2020-მდე 5 წლის განმავლობაში საკონსულო მომსახურების მოუთხოვნლობის საფუძველად საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნისას არ ხდებოდა დანიტერესებული პირის შეტყობინება;

¹⁴16/10/2019-დან პასპორტის დაკარგვის ან მოპარვის საფუძველად დოკუმენტის გაფორმებისას, მოითხოვება ვაქტის დამადასტურებელისა ბუთის წარდგენა;

- ✓ საარჩევნო პროცესის გაუმჯობესებისათვის, 29/07/2013-დან უბანზე ამომრჩეველთა დასაშვები ზღვარი გაორმაგდა (3000);
- ✓ საგარეო საქმეთა მინისტრის 23/04/2020 N01-72 ბრძანებით საკონსულო მომსახურების მოუთხოვნლობით/ საზღვრის კვეთის უქონლობით საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის 5 წლიანი პერიოდი ათ წლამდე გაიზარდა (01/01/2025-დან ამოქმედდება). მოცემული გარემოებებით აღრიცხვიდან მოხსნის შეტყობინება განხორციელდება ელ. ფოსტით;
- ✓ ემიგრანტთა მრავალწლიანი მოთხოვნის შედეგად, 2018 წელს გვხდება საპატიო საკონსულოში (მიუნხენი) კენჭისყრის წარმართვის ერთადერთი პრეცედენტი¹⁵ (გერმანიაში ხმების 24%);
- ✓ საკონსულო აღრიცხვის გაუმჯობესებისათვის, 2018-2019 წლებში ვრცელდებოდა საინფორმაციო მასალა;
- ✓ გაიხსნა გენერალური საკონსულოები ბარიში და სანფრანცისკოში.

აღნიშნული ძალისხმევა გამოწვევების პროპორციული არაა. მცდელობები ფრაგმენტულია, აკლია კოორდინაცია, საბიუჯეტო და სამოქმედო დაგეგმარება. კვლევების განუხორციელებლობა გადაწყვეტილებზე უარყოფითად აისახება:

- თანასწორობის პრინციპისათვის: მნიშვნელოვანია საპატიო კონსულების, სახელმწიფო და დიასპორის რესურსის¹⁶ მაქსიმალური გამოყენება. კენჭისყრის შენობის სტანდარტები შესამუშავებელია. უბნის საზღვრების დადგენისას გასათვალისწინებელია ამომრჩევლის ინტერესიც (მიზანშეწონილია საარჩევნო უბნის შერჩევის შესაძლებლობის განსაზღვრა¹⁷);
- იდენტიფიცირების პროცესისათვის: არამოქმედი დოკუმენტებით საკონსულო აღრიცხვაზე დაყენება არჩევნებისას იდენტიფიცირების პრობლემას შექმნის (საარჩევნო ადმინისტრაციისათვის მისაწოდებელი სია მოიცავს მოქმედი დოკუმენტის არმქონე პირთა მონაცემებსაც)¹⁸. აღრიცხვიდან მოხსნის

¹⁵სათუთასაეღლოსთანამშრომლისარამართლზომიერიმივივლინების შემდგომი განმეორება;

¹⁶მაგ.: გერმანიისტერიტორიაზედასაშვებისათვისტომოსშენობებშიკენჭისყრისჩატარება;

¹⁷მაგ.: ალბანეთშიმყოფისათვისსაბერძნეთშიგამგზავრებაზევრადხელსაყრელია ვიდრე ანკარაში. ნიუ-იორკშისაქართველოსგენერალურისაკონსულოსსამოქმედოარეალიმოიცავსსანფრანცისკოსსაკონსულ ოდაწესებულებისტერიტორიასაც(ამომრჩეველთაგადაწილებისპრობლემამოქმედება);

¹⁸საარჩევნოკოდექსისშესაბამისად,

ამომრჩეველთაერთიანსიაშიარშეიტანებაიმსაცხოვრებელიადგილისმიხედვითრეგისტრირებულმოქა

შეტყობინების ყველა პირისათვის მიუწოდებლობა ამომრჩეველად ყოფნის ცრუმოლოდინის წარმოქმნის.

→ ამომრჩეველთა სიების სრულყოფისათვის: იუსტიციის აქციებისადმი ინტერესი ძირითადად ვადიანი/ დაზუსტებული მონაცემებით დოკუმენტების ფლობაში გამოიხატება¹⁹. საკონსულო აღრიცხვის დადგომის (უფასო მომსახურება) წახალისება/ მასობრივი მოწოდება ბევრად ეფექტიანი იქნებოდა. ასევე, მისთვის სავალდებულო ხასიათის მიცემა პროცესის სისტემატიზებას გამოიწვევს²⁰. აღრიცხვიდან მოხსნის საფუძვლებიც არა გონივრულია: იუსტიციის დისტანციური სერვისებისათვის უპირატესობის მინიჭება ან/და საქართველოში გამომგზავრებისგან თავის შეკავება შესაძლებელია საკონსულო აღრიცხვის მიღმა ემიგრანტთა უდიდესი ნაწილი დატოვოს²¹. აღრიცხვიდან მოხსნილთა მიმართებით არაა გათვალისწინებული OSCE/ ODIHR-ის რეკომენდაციები: საზღვარგარეთ ყოფნისას/ დაბრუნებისას საარჩევნო სიაში მოსახვედრად მათ რეგისტრაციის პროცედურების გავლა ხელახლა დასჭირდებათ. საინფორმაციო კამპანიაც მწირია: საქართველოდან გამგზავრების მაჩვენებლის 1.5%-ით (50000 ცალი) ფლაერების გავრცელება არასაკმარისია²².

გამოწვევებზე სათანადო რეაგირებისათვის: აუცილებელია ~~თავისუფალი და სამართლიანი~~ უწყებათაშორის ~~ლა~~ კომისიას მოეთხოვოს ფარგლებში

ლაქეთამონაცემები,
რომელთაც არჩევნების დროისათვის არა უღიათ მოქმედი პირადობის მოწმობა/ პასპორტი;
¹⁹ ემიგრანტთა უდიდესი ნაწილის საქართველოში საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრირებულ პირს წარმოადგენს. კანონმდებლობით დაუშვებელია უცხოეთში მათი შემდგომი რეგისტრაცია.
²⁰ შესაბამისი სანქციის არარსებობის გამო, 26/12/2018-ს გაუქმდა საკონსულო აღრიცხვაზე არყოფნის საფუძვლად საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველი. ამასთან, საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციას ვალდებულოა, ხოლო შესაბამისი წესების დარღვევა დაჯარიმებას იწვევს;
²¹ ხუთ წლიან პერიოდში საქართველოს მოქალაქეთა საკონსულო სამსახურში მომსახურების (გარდა საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობისა) მოთხოვნის მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 150 ათას განაცხადს (მათ შორის განმეორებით მიმართვისას);
²² საკონსულო კრიზისების სათანადო მართვის მიზნით, პანდემიის პერიოდში არ მომხდარა აღრიცხვაზე დადგომის საყოველთაო მოწოდება.

საზღვარგარეთ საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფაზე მუშაობის გააქტიურება²³.

საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფის პროცესში საზღვარგარეთ არსებული პრობლემების არა იდენტიფიცირებულობა და დასახული ამოცანების უქონლობა იკვეთება საქართველოს შესაბამის სტრატეგიებსა თუ სამოქმედო გეგმებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ CDL-AD(2004)012, CDL-AD(2011)022 და CDL-AD(2015)040 ანგარიშებით, ვენეციის კომისია სახელმწიფოებს მოუწოდებს უზრუნველყონ საარჩევნო კანონმდებლობის და პრაქტიკის თანმიმდევრული და ეფექტიანი გავრცელება, არ გვხდება სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები, რომელიც საარჩევნო უბნების რაოდენობის და კენჭისყრის მეთოდების ზრდას გულისხმობს (საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს ხმის მიცემის დისტანციურ მეთოდებსაც: ფოსტა/ მინდობილობა/ ინტერნეტი).

საზღვარგარეთ საარჩევნო უფლებით პოტენციური მოსარგებლე შეიძლება იყოს მილიონზე მეტი მოქალაქე. თუმცა, მიუხედავად ბენეფიციართა დიდი რაოდენობისა, გამოიყოფა კატეგორია (სეგმენტი), რომელთათვის ხელმისაწვდომობა კრიტიკულად პრობლემურია:

➤ კენჭისყრის შენობიდან რამდენიმე ასეული/ ათასეული კილომეტრის დაშორებით მცხოვრები ამომრჩევლები.

სიტუაციის რეაგირების გარეშე დატოვებით შემდეგ არჩევნებზეც იგივე შედეგს მივიღებთ:

- ემიგრანტების სათანადო აღურიცხაობა რესურსის არასწორად მიმართვას დაუდებს საფუძველს;
- უთანასწორო პრინციპის გავრცელება საარჩევნო პროცესებისადმი უნდობლობას გაზრდის;
- მინიმალური აქტივობა საერთაშორისო მხარდაჭერას შეამცირებს.

საარჩევნო ადმინისტრაციასთან ერთად, მოცემულ პროცესში მაღალია საგარეო საქმეთა სამინისტროს ინტერესიც. მათი პოლიტიკური ნებაა პრობლემის გადაჭრის

²³2020 წელს გამართულ არცერთ უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე ცალკეულად არ განხილულა საზღვარგარეთ ამომრჩეველთა სიის სრულყოფასთან დაკავშირებული გამოწვევები. იხ. ბმული: <https://justice.gov.ge/Ministry/Index/1579>

გზების მოძიება. შედარებით დაბალია იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერა (სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაზიარებას უკავშირდება). ნეიტრალური პოზიციით გამოირჩევა პარლამენტი (საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების მიღებით შემოიფარგლება). რაც შეეხება ბენეფიციარებს, ემიგრანტთა მოცემული ჯგუფის დაინტერესება მაღალია.

კენჭისყრის ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფა გამოიწვევს ხმის მიცემის მზარდი რაოდენობას და სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე ემიგრანტების გავლენის მატებას. პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენა იმოქმედებს ემიგრანტების/ ორგანიზაციების/ საერთაშორისო თანამეგობრობის შეფასებებზეც.

პრობლემის გადაჭრის გზები

(ალტერნატივები)

მოსალოდნელი შედეგების შედარების, ნაკლები დანახარჯის და მეტი ეფექტიანობის მოხდენის მიზნით, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკების გათვალისწინებით, შემუშავდა შემდეგი ალტერნატივები²⁴:

I ალტერნატივა - რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესება/გამარტივება.

არც კენჭისყრის შენობების დამატება და არც დისტანციური მეთოდების დანერგვა არ იქნება ეფექტიანი რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მოცემული რაოდენობის შემთხვევაში. საზღვარგარეთ მოქალაქეთა რეგისტრაციის ზრდა განაპირობებს გამოწვევებზე დაუყოვნებლივი რეაგირების აუცილებლობას. დღეს არსებული პოლიტიკა მონაცემთა მნიშვნელოვან ზრდას ვერ უზრუნველყოფს. საჭიროებს მიდგომების შეცვლას, მათ შორის აღრიცხვის სისტემატიზების მხრივ:

1. საზღვარგარეთ მყოფ პირთათვის სერვისების/ დახმარების მიღების წინაპირობად საკონსულო აღრიცხვაზე/ რეგისტრაციაზე ყოფნის განსაზღვრა 5 წლიან პერიოდშიც

²⁴სათანადო დაგეგმარების შემთხვევაში, წარმოდგენილი ალტერნატივების განხორციელება, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოესწრება.

კი განაპირობებს რამდენიმე ასეული ათასი მომსახურების მომთხოვნი (ყველა) პირის აღრიცხვას;

2. საზღვარგარეთ მყოფ აღრიცხვიდან მოხსნილ საქართველოს მოქალაქეთათვის საარჩევნო უფლების შენარჩუნება რამდენიმე ათეული ათასი ადამიანისათვის აღარ გამოიწვევს ხელახალ რეგისტრაციის საჭიროებას;

3. არჩევნების წინა პერიოდში აღრიცხვაზე დაყენებულ პირთათვის რიგ სერვისებზე შეღავათების (მომსახურების ვადა, საზღაური) დაწესება რეგისტრაციის პროცესის სტიმულირებას მოახდენს;

4. ვადიანი საკონსულო აღრიცხვის შემოღება მონაცემთა დაზუსტების უფრო გონივრული მექანიზმს შექმნის.

შედეგად, 2024 წლისათვის მივიღებთ არანაკლებ ნახევარ მილიონ აღრიცხვაზე მყოფ პირთა ოდენობას და მინიმუმ 3 ჯერ მეტ საარჩევნო უბანს.

დადებითი მხარები	უარყოფითი მხარეები
დაზუსტებული/ სრულყოფილი მონაცემების ფლობა	უფლებამოსილ ორგანოებს შორის კონსენსუსის სირთულე
უფლებით მოსარგებლე პირთა ზრდა	დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯი
ქვეყნის დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა	განხორციელებული ქმედებების არამყისიერი შედეგი

პირველ ალტერნატივას გააჩნია დამატებითი ეფექტიც, ემიგრანტთა მასიური აღრიცხვა ხელს შეუწყობს, როგორც მიგრაციული პროცესების სწორად მართვას, ასევე, მოქალაქეთა გათავისუფლებას რიგი კომუნალური სახდელისაგან.

II ალტერნატივა - საარჩევნო უბნების შექმნის წესის დახვეწა.

კონსტიტუციური უფლების ხელმისაწვდომობა მოითხოვს საარჩევნო უბნების დაფარვის არეალის მინიმუმამდე შემცირებას. ამომრჩეველთა უფრო მასიური რეგისტრაციის შემთხვევაში, ცალსახაა, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობების/ საკონსულო დაწესებულებების არსებული რესურსი ვეღარ უპასუხებს გამოწვევებს. აღნიშნული ვითარება მოითხოვს დამატებითი რესურსის მოძიებას. მითუმეტეს, რომ არსებობს დიპლომატიური წარმომადგენლობების/ საკონსულო დაწესებულებების გარდა, საზღვარგარეთ სპეციალური საარჩევნო უბნის შექმნის უცხოური გამოცდილებაც (იყენებს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა: დანია, ფინეთი, ხორვატია, ერაცი, ირანი, ლატვია, ნორვეგია, ახალი ზელანდია, პერუ, პოლონეთი, პორტუგალია,

რუმინეთი, მოლდოვა, რუსეთი, სამხრეთ სუდანი, ჩადი, ტაილანდი, ტაჯიკეთი, თურქეთი). ალტერნატივად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საპატიო საკონსულო დაწესებულებების და დიასპორული ორგანიზაციების სარგებლობაში არსებული ფართები (ამის წარმატებულ მაგალითს გვაზღვეს მიუნხენი), რითაც მნიშვნელოვნად შემცირდება კონცენტრაციის ადგილებსა და კენჭისყრის შენობას შორის მანძილი, შესაბამისად რამდენჯერმე გაიზრდება ხმის მიცემის მაჩვენებელიც. ასე მაგალითად, ფლორენციაში (სათვისტომო) უბნის გახსნა, კენჭისყრის შენობამდე მანძილს დაახლოებით 300-400 კმ-ით შეუმცირებს ტუსკანის რეგიონში, ტურინში, მილანში, ბოლონიასა და ვენეციაში მცხოვრებ ემიგრანტებს. ტეხასის შტატში მცხოვრებ ქართველებს ნიუიორკამდე 3.5 საათიან საჰაერო მგზავრობას ააცილებს ჰიუსტონში საქართველოს საპატიო საკონსულოში უბნის განთავსება²⁵. რესურსის სწორად მიმართვის დაგეგმვის მიზნით აუცილებელია საკონსულო აღრიცხვის მონაცემების ძირითადი კონცენტრაციის ქალაქების/ რაიონების მიხედვით გამიჯვნა. საზღვარგარეთ საარჩევნო პოლიტიკის შედეგების გაუმჯობესება ასევე ქვემოაღნიშნულ ქმედებებს მოითხოვს:

1. საკონსულოს კარ-მიდამოს ფარგლებს გარეთ უბნის გახსნის გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით, ადგილსამყოფელი ქვეყნის ორგანოებთან/ დიასპორულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
2. საქართველოს საპატიო კონსულების (ადგილსამყოფელ ქვეყანაში ლეგიტიმაციის კუთხით შექმნიდა ნაკლებ პრობლემას), დიასპორული ორგანიზაციების თუ კერძო საკუთრებაში არსებული ფართებში საარჩევნო პროცესის წარმართვის რეგულირება;
3. საზღვარგარეთ საარჩევნო სიების მონაცემების მოქალაქეთა კონცენტრაციის ადგილების შესაბამისად ფორმირება.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
სიახლის მიმართ მოქალაქეების დადებითი დამოკიდებულება	უცხო ქვეყნებთან არახელსაყრელი დიპლომატიური ურთიერთობები (?)
აქტიური საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობის ზრდა	დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯი (საინფორმაციო კამპანია, პროგრამული უზრუნველყოფა/ განახლება, თანამშრომლების გადამზადება).

III ალტერნატივა - ხმის მიცემის დისტანციური მეთოდის დანერგვა.

²⁵საქართველოს საპატიო კონსულები ასევე დაფუძნებულია შემდეგ ქალაქებში: ჩარლსტონი, ატლანტა, ჰიუსტონი, მილანი, ლვოვი, ვროცლავი, იზმირი, ალმატი, ბორდო, ბრისტოლი. დიასპორული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია WWW.GDA.GE.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხმის მიცემის ელექტრონული მეთოდი უფრო მეტ ნდობას იწვევს ამომრჩეველში. მისი გავრცელების გეოგრაფია დღითიდღე ფართოვდება. პროცედურის წარმართვის ხსენებული დისტანციურ ფორმას უპირველეს ყოვლისა გააჩნია ისეთი სახის უპირატესობები, როგორცაა ყველა პირის მიერ ხმის მიცემის გამოყენების და ხმის სწრაფი დათვლის შესაძლებლობა, საარჩევნო პროცესისათვის საბიუჯეტო დანახარჯების შემცირება. აღნიშნულ ეტაპზე გადასასვლელად, საქართველოს ხელისუფლებას მნიშვნელოვანი ნახტომის განხორციელება მოუწევს ელექტრონული მართველობის კუთხით, რასაც უპირველეს ყოვლისა შესაბამისი ფინანსური რესურსის არქონაც აფერხებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონულ ხმის მიცემის პროცესს, ტრადიციულ მეთოდისგან განსხვავებით გააჩნია ხარვეზებიც, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს საარჩევნო პროცესზე (ტექნიკური გაუმართაობა, არაიდენტიფიცირებადი პირის მიერ ხმის მიცემის შესაძლებლობა, ხაკერული თავდასხმის შესაძლებლობა, კენჭისყრის ფარულობის დარღვევის პრინციპის შესაძლებლობა და სხვ.). მიუხედავად ამისა მოცემულ ვითარებაში მიზანშეწონილია შემდგომი საპარლამენტო არჩევნებისთვის (2024) საქართველოს ხელისუფლების მიერ დაიგეგმოს ციფრულ გარემოში ხმის მიცემის ინსტრუმენტების ეტაპობრივი დანერგვა. ელექტრონული ხმის მიცემის პროცესის დანერგვის წარმატება ასევე დამოკიდებული იქნება შემდეგ ნაბიჯებზე:

- ✓ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესწავლა/ რისკების იდენტიფიცირება;
- ✓ ელ. ხმის მიცემის უსაფრთხო პლატფორმის შექმნა;
- ✓ კანონმდებლობით ხმის მიცემის დისტანციური შესაძლებლობის განსაზღვრა;
- ✓ საზღვარგარეთ მყოფ ყველა პირის ტექნიკური (ბარათებით) აღჭურვა.

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
ამომრჩეველთა _____ ხმის _____ მიცემის და დღეს მარტივი, ეფექტიანი და სწრაფი	სისტემური ხარვეზები/ სისტემაზე არაკანონიერი ზეგავლენის მოხდენა

პროცესი	
ამომრჩეველთა __დამოუკიდებლობის__ ხარისხის ზრდა	მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის მოზიდვა
	ფიზიკურ პირთა ბარათებით აღჭურვის დროში გაწეული პროცესი

მსგავსად 1-ელი ალტერნატივისა, საზღვარგარეთ საარჩევნო პროცესის ელექტრონული წარმოება ხელს შეუწყობს მიგრაციული პროცესების მართვას.

ალტერნატივების შეფასებისთვის გამოყენებულია ეფექტიანობის მულტიფაქტორული ანალიზი (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1

კრიტერიუმები (100%)	ალტერნატივები		
	I (1-5 ქულა)	II (1-5 ქულა)	III (1-5 ქულა)
ბენეფიციართა დადებითი განწყობა (სარგებლიანობა) 30%	5x30	5x30	5x30
დამატებითი ფინანსური რესურსი 20%	3x20	2x20	2x30
განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები 10%	5x10	3x10	1x10
პოლიტიკური მიზანშეწონილობა (განხორციელებადობა) 30%	5x30	5x30	2x30
დამატებითი ეფექტი 10%	4x10	1x10	3x10
ჯამი	450	380	260

მულტიფაქტორული ანალიზიდან ჩანს, რომ უპირატესია I ალტერნატივა, რომლის განხორციელება ყველაზე მეტად შესაძლებელია ანალიზში წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

რეკომენდაციები

შერჩეული ალტერნატივის (რეგისტრაციის___პროცესის გაუმჯობესება) პრაქტიკაში განხორციელება თანმიმდევრული_ნაბიჯების გადადგმას_მოითხოვს, რა დროსაც მნიშვნელოვანია_შემდეგი სახის ღონისძიებების გატარება:

1. **თანამშრომლობის გაღრმავება** - საზღვარგარეთ აქტიური საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობის და საარჩევნო_საკოორდინაციო მექანიზმის შექმნა/ გაძლიერება;
2. **პროცესების ანალიზი და დიაგნოსტიკა**-აღრიცხვაზე უფლებამოსილი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავების ახალი პროცესის გაანალიზება. მონაცემთა შესაბამისი დამუშავების_მიზნით,_ტექნიკური შესაძლებლობების კვლევა/ საჭირო ინფრასტრუქტურული მოთხოვნების დადგენა/ საბიუჯეტო სახსრების დაგეგმვა;
3. **პროგრამული უზრუნველყოფა/ სიახლეების მხარდაჭერა** - პროცესების ანალიზის და დიაგნოსტიკის___გათვალისწინებით,___საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ საკონსულო აღრიცხვის პროგრამული სრულყოფა (მონაცემთა ქალაქებისა და ქვეყნების მიხედვით, ასევე, საარჩევნო უფლების მქონე პირთა ფორმით გამიჯვნის, მომსახურების მოთხოვნისას მონაცემთა ავტომატური გადამოწმების,___ჩანაწერების დუბლირების_შესაძლებლობა და ა.შ.).
4. **საკანონმდებლო ბაზის დახვეწა** -_იუსტიციის სამინისტრო, უფლებამოსილი ორგანოებთან კოორდინაციის გზით, განხორციელებს სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება/ ინიცირებას, რომლის ფარგლებშიც:
 - აღრიცხვას სავალდებულო ხასიათი მიეცემა, სერვისებით სარგებლობის/ საკონსულო დახმარების გაწევის წინაპირობად საკონსულო_აღრიცხვაზე ყოფნა განესაზღვრება, აღრიცხვიდან მოხსნილ საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს (ამომრჩევლის) სტატუსი შეუნარჩუნდებათ, შემოღებულ იქნება ვადიანი აღრიცხვა_(ცვლილებები საარჩევნო კოდექსში, საკონსულო საქმიანობის_და საქართველოს_მოქალაქეთა_და_საქართველოში მცხოვრებ___უცხოელთა___რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა_და_საქართველოს_მოქალაქის_პასპორტის_გაცემის_წესის_შესახებ

საქართველოს კანონებში, საკონსულო დეპარტამენტის და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულებებში, საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის წესში და ა.შ.).

5. პროფესიული გადამზადება -აღრიცხვის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთათვის მომზადდება მეთოდური ინსტრუქციები, როგორც პროგრამის განახლების, ასევე, სამართლებრივი ცვლილებების კუთხით.

ალტერნატივის იმპლემენტაციის პერიოდში გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის განხორციელება, რა დროსაც შეფასდება დასახული საქმიანობის სიზუსტე, დროულობა და შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა, რაც ხარვეზის შემთხვევაში რეაგირების გადაწყვეტილებას დაუდებს საფუძველს.

დასკვნა

დამოუკიდებლობიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფო საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების უფლებების დაცვისა და მათთვის ინსტიტუციური შეთავაზების გამოწვევის წინაშე დგას, რაც უპირველეს ყოვლისა დემოკრატიის გავრცელებას მოითხოვს. წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი, სწორედ რომ საზღვარგარეთ აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობის საკითხის მიმართ მსჯელობას გვთავაზობს. შეჯერებული სურათის შედეგად გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ემიგრანტების უმნიშვნელო რაოდენობა ახერხებს ხმის მიცემას. იკვეთება ინსტიტუციონალური პრობლემები, რომელსაც ძირითად იწვევს შემდეგი:

1. არაეფექტიანი რეგისტრაციის პოლიტიკა;
2. საარჩევნო უბნების არა-ხელმისაწვდომობა;
3. თანამედროვე ტექნოლოგიების დაუნერგაობა.

წარმოდგენილი პრობლემის გადაჭრის სამი ალტერნატიული გზიდან ეფექტიანობის მულტიფაქტორული ანალიზის შედეგად უპირატესობა მიენიჭა პირველ ალტერნატივას - რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესება (საკონსულო

ადრიცხვის კუთხით პოლიტიკის გადახედვის გზით). პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში შევიმუშავეთ შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა უფლებამოსილი ორგანოების მიერ გათვალისწინებაც, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების ბევრად ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს. მთავარია დასახული აქტივობების განსახორციელებლად არსებობდეს პოლიტიკური ნება და უფლებამოსილი ორგანოებს შორის კოორდინაციის ეფექტიანი მექანიზმები. საზღვარგარეთ აქტიური საარჩევნო უფლების ხელმისაწვდომობის პრობლემა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო შეფასებას და სტრატეგიულ დოკუმენტებსა თუ სამოქმედო გეგმებში განსახორციელებელი ქმედებების სახით დროულ დასახვას.

დანართი


ცხრილი N2

ფულადი გზავნილები საქართველოში (2019 წელი)

რუსეთი	იტალია	საბერძნეთი	აშშ	ისრაელი	თურქეთი	უკრაინა	გერმანია	ესპანეთი	პოლონეთი	სხვა დანარჩენი
24.7%	13.8%	11.1%	10.3%	9.4%	5.5%	2.5%	2.9%	2.7%	1.8%	15.3%

გრაფიკი N1

საზღვარგარეთ წარმოებული საქართველოს საარჩევნო პროცესი (2008-2018 წწ.)



ცხრილი N2


საკონსულო აღრიცხვის მონაცემები 08/06/2020 მდგომარეობით

აქტიურის ტატუსი	შეჩერებული	მოხსნილი (გარდაცვ.)	მოხსნილი (მოქალაქეობის შეწყვეტა)	მოხსნილი (6 თვეზე მეტი ხნით საქართველოში იყო)	მოხსნილი (დაუფიქსირებლობა საზღვარზე/საკონსულოში)	მოხსნილი (სხვაადრიცხვა)	მოხსნა (სხვ. საფუძველი)
50763	2853	1251	3923	23169	8675	1580	930

რუკა N1

რუკა

საფრანგეთის და იტალიის რესპუბლიკებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები/ საკონსულო დაწესებულებები და სათვისტომოები



ბიბლიოგრაფია

სამართლებრივი ბაზა:

1. საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სამართლებრივი შეთანხმებები;
2. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი"
3. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონი
4. საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებისა და საკონსულო აღრიცხვიდან მოხსნის მოქმედი და ძალადაკარგული წესები;
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 27/07/2011 N98 ბრძანება.

სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები:

1. ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგია 2015-2019 და 2020-2023 წლებისათვის
 - <https://cesko.ge/res/docs/StrategiuliGegma20202023.pdf>
 - <https://cesko.ge/res/old/other/32/32291.pdf>
2. საგარეო პოლიტიკის სტრატეგია (2019-2022)
<https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy.aspx>
3. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020)
[http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO\(1\).pdf](http://gov.ge/files/428_51453_705840_Strategy-GEO(1).pdf)
4. საქართველოს მიგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმები
http://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0

სტატისტიკური მონაცემები:

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია www.cesko.ge (ჩანართი "არჩევნები");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728>
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო <https://info.police.ge/page?id=94>

კვლევები და ანგარიშები:

1. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მოხსენებები წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ:
 - https://www.osce.org/files/f/documents/6/0/404678_0.pdf;
 - <https://www.osce.org/files/f/documents/e/1/273231.pdf>.
2. ვენეციის კომისიის ანგარიშები:
 - REPORT ON EUROPEAN STANDARDS AS REGARDS THE INDEPENDENCE OF THE JUDICIAL SYSTEM [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2015\)040-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2015)040-e);
 - REPORT ON THE COMPATIBILITY OF REMOTE VOTING AND ELECTRONIC VOTING WITH THE STANDARDS OF THE COUNCIL OF EUROPE
[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2004\)012-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2004)012-e).
 - REPORT ON OUT-OF-COUNTRY VOTING [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2011\)022-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2011)022-e)
4. ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ანგარიშები www.cesko.ge (ჩანართიარჩევნები)
3. თავისუფალი და სამართლიანი უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშები <https://justice.gov.ge/Ministry/Index/385>

ლიტერატურა

1. Voting from Abroad in 18 Latin American Countries <https://aceproject.org/about-en/voting-from-abroad-in-18-latin-american-countries/view>
2. E-voting for Swiss abroad: A joint project between the Confederation and the Cantons https://www.zora.uzh.ch/id/eprint/133854/1/173-187_Weber_et-al_Internet-Voting-CH.pdf
3. Современные избирательные системы (გამოცემები) <http://www.rcoit.ru/lib/>